ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 იანვარი, შაბათი, 1988 წ.
№ 16 (9677) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

## ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი

# ირინა ლევიტინა

**ირინა ლევიტინა** (დაიბადა 1954 წლის 8 ივნისს) უკვე კარგა ხანია მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება.

პირველ დიდ წარმატებას მან 1969 წელს მიაღწია — საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა გოგონათა შორის. სულ მალე, 1971 წელს ლევიტინა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ქალთა შორის, რამაც ჭადრაკის სამყაროში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საყურადღებოა, რომ ეს წოდება ლენინგრადელმა მოჭადრაკემ, რომელიც საერთაშორისო დიდოსტატია 1976 წლიდან, შემდეგში კიდევ სამჯერ მოიპოვა (1978, 1979 და 1980 წლებში).



1973 წლიდან მოყოლებული, იგი მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობს. ამ წელს მენორკას (ესპანეთი) საზონათშორისო ტურნირმა მას II-V ადგილები მოუტანა. საჭირო გახდა კისლოვოდსკის დამატებით მატჩ-ტურნირში თამაში, სადაც ირინამ მეორე ადგილი დაიკავა ნანა ალექსანდრიას შემდეგ. 1974 წელს პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ლევიტინამ სძლია ვალენტინა კოზლოვსკაიას (6,5:5,5), მაგრამ ფინალში უაღრესად მძაფრი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა (8:9) ალექსანდრიასთან. მსოფლიო პირველობის მომდევნო ციკლში ლევიტინა.

იხ. მე-4 გვ.

# სევილიის ექო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაკებმა შეხვედრა მოუწყეს ჭადრაკში საერთაშორისო დიდოსტატებს თამაზ გიორგაძეს და ედუარდ გუფელდს, რომლებიც სევილიაში კასპაროვ-კარპოვის მატჩს ემსახურებოდნენ.

დიდოსტატებმა დამსწრეთ საინტერესოდ მოუთხრეს მატჩის პერიპეტიებზე და პასუხი გასცეს მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

# პირველი ჩემპიონები

**უკვე მიილია კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატის სამი დღე. ნათლად გამოიკვეთა ის, რაც წინასწარ იყო ნავარაუდები და რის შესახებაც ლაპარაკობდა ყველა: მწვრთნელები, სპეციალისტები, სპორტსმენები, ჟურნალისტები. ოლიმპიური წლის შეჯიბრება ფალავნებისთვის მეტად დიდი და ძნელი გამოცდა აღმოჩნდა. თბილისის სპორტის სასახლის სამ ხალიჩაზე უკიდურესად დაძაბული ბრძოლები გაჩაღდა ოქროს მედლებისათვის.**

როდესაც ყველა უძლიერესი სპორტსმენი ასე ერთად იყრის თავს შეჯიბრებაზე, ნათლად ვხედავთ, როგორ ამაღლებულა ჩვენი ათლეტებისა და მათი მეტოქეების ოსტატობის დონე.

ჩემპიონატის წინ ჩვენ ვმსჯელობდით საკუთარ ფავორიტებზე, გუნებაში ბევრჯერ ავწონ-დავწონეთ

იხ. მე-3 გვ.

# საპატიო წოდებათა მინიჭება

**რესპუბლიკის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

**„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“:** აკაკი სიმონის ძე **მეიფარიანს** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს.

**„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი“:** თამარ კონსტანტინეს ასულ **ვაშაკიძეს** — სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერის მედდას.



თბილისელ სპორტის მოყვარულებს დიდი ხანია აღარ უნახავთ ნიჩბოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ბოლო ხანებში ფოთი იქცა ჩვენი ნიჩბოსნობის ადგილის დედად.

წლეულს აკადემიური ნიჩბოსნობის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს რესპუბლიკის პირველობა ჩაეტარებინათ თბილისში, ქალაქის ცენტრალურ სანიჩბოსნო ბაზაზე. გუშინ მათ საერთო ფიზიკურ მომზადებაში ჩააბარეს ნორმატივები, დღეს კი სოხუმელი, ფოთელი, ქუთაისელი, რუსთაველი და თბილისელი ნიჩბოსნები მტკვრის ტალღებზე ცდიან ბედს.

# მეც „შევარდენს“ ვუჭერ მხარს

**ძვირფასო რედაქცია!** კარგია, რომ თქვენს გაზეთში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ვუწოდოთ საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებას. გავეცანი ყველა წინადადებასა და ყველაზე მოხდენილ სახელად მიმაჩნია „შევარდენი“. ჭაბუა ამირეჯიბის თქმისა არ იყოს, „საზოგადოებისათვის ამ სახელწოდების მინიჭება, ყველაფრის გარდა, მეოცე საუკუნის დასაწყისის ენთუზიასტთა და მათი სპორტული საზოგადოების დამსახურების და ამაგის არდავიწყების აქტიც იქნება“.

და მართლაც, გაუმარჯოს „შევარდენს!“

**მერაბ მერაბიშვილი,**
სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მხატვარი, მოქანდაკე, პროფესორი.







# დინამოელები ემზადებიან

## საფეხბურთო სეზონის წინ

**თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელები შავი ზღვისპირას, დაბა ლესელიძის სპორტულ ბაზაზე ინტენსიურად ემზადებიან ახალი საფეხბურთო სეზონისთვის. ისინი აქ იანვრის ბოლომდე დაჰყოფენ, შემდეგ დაუბრუნდებიან თბილისს, საკონტროლო-საწვრთნელ მატჩებს გამართავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ კარლ-მარქს-შტადტის უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებთან.

თებერვლის შუა რიცხვებში დინამოელები ალჟირს გაემგზავრებიან, სადაც განაგრძობენ წვრთნას, ჩაატარებენ საწვრთნელ თამაშებს. სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი კალენდარული მატჩი თბილისელ ფეხბურთელებს 7 მარტს შინა აქვთ ვილნიუსის „ჟალგირისთან“.

თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა **გერმან ზონინმა** საქინფორმის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

— დინამოელთა წვრთნა მიმდინარეობს გამოცდილი ექიმის ზაქრო თელიას კონტროლის ქვეშ, დიდ ყურადღებას ვუთმობთ დისციპლინას, ფეხბურთელთა საინებისყოფო თვისებებს, ამ მიმართებით ბევრი სამუშაო უწევთ გუნდის უფროსს ვლადიმერ გუცაევს, მწვრთნელებს შოთა ჰეიშვილს და ნოდარ აკობიას.

დასასრულ გ. ზონინმა დაუმატა: მჭიდრო ურთიერთკავშირი გვაქვს საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოსთან, მის ხელმძღვანელთან ავთანდილ ჰკუასელთან. ეს გვეხმარება კარგი მორალური კლიმატი შევქმნათ გუნდში. დინამოელმა ფეხბურთელებმა კარგად იციან, რომ სასწავლო-საწვრთნელი რეჟიმის დარღვევისთვის მკაცრ ზომებს მივმართავთ, თვით კოლექტივიდან გარიცხვამდეც კი. იმედი მაქვს, საამისო საფუძველს არავინ მოგვცემს, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გუნდის ქომაგები გავახაროთ კვალიფიციური, შინაარსიანი თამაშით.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წვრთნის მომენტები; გუნდის მთავარი მწვრთნელი გერმან ზონინი დავალებას აძლევს დინამოელებს.**

ზ. ხოკოლოვის ფოტო.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

## საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთში

**ინდოეთში,** ჯავაჰარლალ ნერუს საფეხბურთო მემორიალზე, სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა უნგრეთის გუნდი. გოლი პირველი ტაიმის დასასრულს გაიტანა ი. სავიჩევმა.

**ბანგკოკში** რსფსრ-ის ნაკრებმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა სამხრეთ კორეის გუნდთან — 2:2 (პირველი ტაიმი 0:2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სასკოლო ფიზკულტურა გარდაქმნის გზაზე — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასახმარებლად**

# „ჯანმრთელობის საათი“ სკოლაში

**თანამედროვე** მეცნიერული მონაცემების მიხედვით, ფიზიკური კულტურის ორი გაკვეთილი მოძრაობის საჭირო ნორმის მხოლოდ 11 პროცენტს აკომპენსირებს, რაც ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე ზემოქმედებისთვის ძალზე ცოტაა. ფიზკულტურის ერთი გაკვეთილი დღელამის განმავლობაში საჭირო მოძრაობათა მხოლოდ 40 პროცენტს უზრუნველყოფს, თანაც ფიზკულტურაში კლასგარეშე მუშაობა ნებაყოფლობითი და ნაკლებად პრესტიჟულია ბავშვებისთვის, „კონკურენციას“ ვერ უწევს ტელევიზორს, როკ-მუსიკას, ახალგაზრდობის სხვა გატაცებებს.



სამწუხაროდ, ფიზკულტურის დამატებითი ფასიანი საათების შემოღებაზე ფიქრი ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა სსრ კავშირის სპორტსახკომთან ერთად, სადირექტივო ორგანოებში ჩვენ უკვე ვამუშავებთ ამ საკითხს. გეგმაში გვაქვს შემოვიღოთ ფიზკულტურის მესამე გაკვეთილი, მაგრამ ეს მხოლოდ პედაგოგიური კადრების მომზადებისა და აუცილებელი მატერიალური პირობების შექმნის შედეგად განხორციელდება.

მოსწავლეთა არასაკმარისი მოძრაობის გამო ბევრი ბავშვი გაცილებით მეტს იწონის, ვიდრე მის ასაკს შეეფერება, თანაც გასუქების პროცესი სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. სპეციალურ სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა ძალიან ნელა მცირდება. პრაქტიკულად არ იკლებს სკოლიოზიან, დაქვეითებული მხედველობისა და სმენის მქონე ბავშვთა რიცხვი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, მოსწავლეთა ფიზიკური კულტურის ყოველდღიური მეცადინეობების ორგანიზების, ფიზიკური კულტურის საშუალებით ჯანმრთელობის გაკაჟების და ფიზმომზადების განვითარების შესახებ სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება გაკვეთილების ცხრილში ყოველდღიური „ჯანმრთელობის საათის“ შეტანის შესახებ.

მაინც რა არის „ჯანმრთელობის საათი?“ — ესაა 45 წუთის განმავლობაში მოსწავლეთა ყოველდღიური ფიზკულტურულ-სპორტული მეცადინეობა 2-3 გაკვეთილის შემდეგ, რაც უმეტესად სუფთა ჰაერზე უნდა ჩატარდეს.

„ჯანმრთელობის საათის“ პრაქტიკულად დანერგვის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მოძმე რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქების ნოვატორ-მასწავლებელთა მუშაობის შესწავლა.

რა ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებს?

პირველ რიგში უნდა გადაწყდეს მატერიალური და კადრების საკითხები. ამისათვის საჭიროა მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები, ფიზკულტურული აქტივი, შექმნან, გამოიგონონ, სცადონ...

„ჯანმრთელობის საათს“ ნერგავენ და ატარებენ მოსწავლეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სკოლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი, კლასების ფიზორგები პედაგოგთა ხელმძღვანელობით. ეს კი დიდი და გამოუყენებელი რეზერვებია.

ამ მეცადინეობის ორგანიზაციულმეთოდური უზრუნველყოფა ფიზკულტურის მასწავლებლებსა და სამხედრო ხელმძღვანელებს ევალებათ, და საამისოდ ისინი სპეციალურ მომზადებას გადიან.

ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ უნდა მოამზადოს სპორტული რეზერვები. ამ საქმეში შეიძლება ჩაებან კოლმეურნეობათა მეთოდისტები, მწვრთნელ-მასწავლებლები...

იმედი გვაქვს, სკოლების პედკოლექტივები არა მარტო პროპაგანდას გაუწევენ „ჯანმრთელობის საათს“, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც მიიღებენ ამ მეცადინეობებში. პედაგოგებმაც უნდა იზრუნონ თავიანთ ჯანმრთელობაზე, რადგან არასაკმარისი მოძრაობა (ჰიპოკინეზია) სწრაფად არღვევს ორგანიზმის მუშაობას, მძიმე ცვლილებებს იწვევს გულ-სისხლძარღვთა სისტემაში, ხელს უწყობს ჰიპერტონიული დაავადებების განვითარებას, აქვეითებს შრომის უნარს. „ჯანმრთელობის საათში“ მონაწილეობა, ვფიქრობთ, დიდად დაგვეხმარება ამ პროცესების თავიდან აცილებაში.

ვარჯიშების ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იქნეს სკოლის სპორტული ბაზა, აგრეთვე სტადიონები, აუზები, სპორტული მოედნები... მთლიანად უნდა იქნეს ათვისებული სკოლის ტერიტორია, აშენდეს მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობები, „ჯანმრთელობის ბილიკები“, დაბრკოლებათა ზოლები და ა. შ.

გარკვეული გართულებებია მოსალოდნელი ძველი ტიპის სკოლებში, რომელთაც პრაქტიკულად არა აქვთ თავიანთი სასწავლო-სპორტული ბაზა. ამ შემთხვევაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სკოლის მიკრორაიონის ყოველგვარი შესაძლებლობა: საცხოვრებელ სახლთა საბავშვო და სპორტული მოედნები, სკვერები, პარკები, სპორტსაზოგადოებათა ბაზები.

ყურადღება უნდა მიექცეს უფროსკლასელთა ჩაბმას ამ საქმეში, ბევრი საკითხი ალბათ მათი დახმარებით გადაწყდება. მათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შედეგად შეიძლება აშენდეს მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობანი. მათ უმცროსკლასელთა დახმარებაც შეუძლიათ — მოედნების მოწყობა, საქანელების, გასართობების დადგმა, განათებაზე ზრუნვა.

„ჯანმრთელობის საათი“ ხელს შეუწყობს სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების, მათი მშობლების თანამშრომლობას, გააუმჯობესებს სწავლებას, აღზრდას, გაზრდის მოსწავლეთა სოციალურ აქტივობას.

ამგვარ ღონისძიებებში ყველა შეიძლება ჩაებას — კლასები კლასებს შეეჯიბრებიან, თანრიგოსანი სპორტსმენები — თანრიგოსნებს, მასწავლებლები — მასწავლებლებს. დიდად სასარგებლოა ხალხური თამაშობებიც. შემდეგ შეიძლება შეჯამდეს კიდეც, ვინ უფრო სწრაფად დარბის, რომელი კლასის მოსწავლეები ცივდებიან უფრო ნაკლებად და ა. შ.

სასურველია, მეცადინეობებზე ყველას სპორტული ფორმა ეცვას. მკაცრად უნდა იყოს დაცული უშიშროების ტექნიკა და სამედიცინო კონტროლი. სკოლის მასწავლებლებს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური მომზადებისა და სურვილის მიხედვით, შეუძლიათ მოსწავლეებთან ერთად ივარჯიშონ ან დამოუკიდებელი ჯგუფები ჩამოაყალიბონ. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური კულტურის საშუალებები დიდ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე, ამიტომ ვარჯიშები ყველამ ინდივიდუალურად უნდა შეარჩიოს.

„ჯანმრთელობის საათი“, პირველ ყოვლისა, გაჯანსაღებისკენ მიმართული ღონისძიებაა. ამასთან იგი არ უნდა ტარდებოდეს მხოლოდ ტრადიციული, სკოლებში დანერგილი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. ვარჯიშის დროს კლასების გაერთიანებაც შეიძლება, მაგალითად, I-II, III-IV, V-VI; ან I-III, IV-VI, VII-VIII, IX-X (XI)... ამ შემთხვევაში, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი დატვირთვა ექნებათ მოსწავლეებს. მათ, როგორც წესი, თვითონ უნდა აირჩიონ ვარჯიშის სახე, მოამზადონ სპორტული ინვენტარი, იარაღები, სავარჯიშო ადგილები.

„ჯანმრთელობის საათის“ მუშაობა ძირითადად იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რამდენი მოსწავლე მონაწილეობს მასში, როგორი ენთუზიაზმითა და აქტივობით.

„ჯანმრთელობის საათამდე“ ან მის შემდეგ ჩატარებული ფიზკულტურის გაკვეთილი მოსწავლეებს ხელს არ შეუშლის ფიზიკურ ვარჯიშსა და თამაშებში. მათ შესარჩევად ძირითადად ფიზიკური კულტურის სასწავლო პროგრამის მასალები უნდა იქნეს გამოყენებული. მეცადინეობაზე კი ფიზკულტურის გაკვეთილებზე შესწავლილი ვარჯიშები შესრულდება.

ამ ღონისძიებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაზრდის მიზნით, ამინდისა და წლის დროის გათვალისწინებით, რეკომენდებულია მასში ჩართონ შეჯიბრება სპორტულ თამაშებში, საცეკვაო ვარჯიშები, სხვადასხვაგვარი ესტაფეტები, ველოსიპედებით სიარული და ა. შ.

პერიოდულად უნდა ისწავლებოდეს ჰიგიენური ტანვარჯიშის ილეთები, რომელთა დახვეწაც შინ მოხდება. სურვილისამებრ, მოსწავლეებს შეუძლიათ ინდივიდუალურად ივარჯიშონ ტრენაჟორებზე ან გამოიყენონ სხვა სპორტული ინვენტარი: ბურთები, სიმძიმეები, შტანგები, სახტუნაოები, გიმნასტიკური ჯოხები და ა. შ.



ასე რომ, „ჯანმრთელობის საათი“ ითვალისწინებს როგორც პედაგოგების მიერ ორგანიზებულ თამაშებსა და ვარჯიშებს, ისე მოსწავლეთა მიერ დამოუკიდებლად ჩატარებულ თამაშებსა და გასართობებს. ამასთან, მათი მონაცვლეობა მკაცრად რეგლამენტირებული უნდა იყოს, მეცადინეობების შინაარსისა და ამოცანების, მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით.

დამოუკიდებელ თამაშებს უმცროსკლასელთათვის დროის 30-35 პროცენტი უნდა დაეთმოს, საშუალო ასაკის მოსწავლეთათვის — 50-70 პროცენტი.



„ჯანმრთელობის საათის“ ძირითადი დრო თამაშებს ეთმობა. მოძრაობის სხვადასხვაგვარი უნარის განვითარებისა და გარკვეული ჩვევის სრულყოფის, აგრეთვე დაღლილობის მოხსნის მიზნით, რამდენიმე ორგანიზებული თამაში და სათამაშო დავალება ტარდება. მოძრავ თამაშებში სპორტული თამაშების ელემენტებიცაა ჩართული. მოსწავლეთა ინტერესის გაძლიერების, ემოციური განწყობილების შექმნის მიზნით პერიოდულად უნდა იცვლებოდეს ვარჯიშები, გამოყენებული იქნეს მუსიკალური თანხლება, იცვლებოდეს მეცადინეობის ადგილი.

ბევრ სკოლაში ყველა კლასისთვის უკვე შედგენილია ვრცელი პროგრამები კვირის დღეების მიხედვით.

„ჯანმრთელობის საათის“ ჩატარებისას შეიძლება სირთულეებს წავაწყდეთ იმ რაიონებში, სადაც გრძელი ზამთარი იცის. ასეთი რეგიონების მოსწავლეთათვის, ტრადიციული თხილამურების, ციგურებისა და ციგების გარდა, რეკომენდებულია სუფთა ჰაერზე სეირნობა, ესტაფეტები ზამთრის ინვენტარის გამოყენებით, ფეხბურთის თამაში თოვლზე, გუნდების სროლა... ყოველი მეცადინეობის შემდეგ უნდა შეჯამდეს შედეგები, გამოიყოს საუკეთესო მოთამაშეები, გუნდები, კლასები.

ძვირფასო მეგობრებო, მასწავლებლებო, შეფებო, მოდით, მოსწავლეებთან ერთად ვიყოთ „ჯანმრთელობის საათზე“. ბავშვებს აუცილებლად სჭირდებათ ჩვენი დახმარება, არა ერთჯერადი, არამედ ყოველდღიური თანადგომა, რაც ჩვენი ცხოვრების ნაწილად უნდა იქცეს.

**ვლადისლავ ნევიდომსკი,**
**სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის განყოფილების გამგე.**

„სპეციალურად „ლელოსთვის“.

## საქართველოს ნაკრებმა ფინალის საგზური მოიპოვა

**კალათბურთი**

**პანევეჟისში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალი 1970-1971 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა შორის (ჭაბუკები). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, ლიტვისა და საქართველოს წარმომადგენლები.**

სასტარტო შეხვედრა ჩვენს გუნდს მოსკოველებთან ჰქონდა. ტაიმი საქართველოს წარმომადგენლებმა 16 ქულით მოიგეს, ძირითადი დრო ფრედ 66:66 დამთავრდა, დამატებით ხუთ წუთში კი უპირატესობას მოსკოველებმა მიაღწიეს — 79:70. ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ერთი დეტალი უნდა ავღნიშნოთ: პირველი ტაიმის შემდეგ მოსკოვის გუნდმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით (16 ქულა, რაც არ უნდა იყოს, დიდი სხვაობაა) პრესინგს მიმართა. პრესინგის დროს კალათბურთელები ჩვეულებრივზე უფრო მეტად ჯარიმდებიან, არა და, ამ შეხვედრაში მოსკოვის კოლექტივმა ჯარიმა 32-ჯერ ესროლა, ჩვენ კი მხოლოდ 9-ჯერ. დაგვეთანხმებით, ცოტა უცნაური შეფარდებაა.

ასე იყო თუ ისე, წარუმატებელი სტარტის შემდეგ ჩვენმა კალათბურთელებმა ყველა მომდევნო შეხვედრა დიდი მონდომებითა და თავგანწირვით ჩაატარეს, რამაც მათ საბოლოო წარმატებაც მოუტანა. ქართველმა კალათბურთელებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს უკრაინის (76:45), ლენინგრადის (87:56), ლიტვის (80:72) და ყაზახეთის (90:82) გუნდები. განსაკუთრებით მძიმე იყო მატჩი ყაზახეთის ნაკრებთან. მარცხის შემთხვევაში პირველ ადგილზე ლიტველი კალათბურთელები გადიოდნენ. მათთან ერთად ფინალში თამაშის უფლებას ყაზახეთის გუნდი იღებდა. ასე რომ, ბრძოლა უაღრესად პრინციპული იყო და ჩვენმა ბიჭებმა დამსახურებულ წარმატებასაც მიაღწიეს.

საბოლოოდ საქართველოსა და ლიტვის კოლექტივებმა 9-9 ქულა დააგროვეს, მაგრამ პირადი გამარჯვების საფუძველზე პირველი ადგილი ჩვენს გუნდს მიენიჭა, რომელიც ფინალში ოქროს ქულით გავიდა. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ უკრაინის, ყაზახეთის, ლენინგრადისა და მოსკოვის წარმომადგენლებს.

ჩვენი კალათბურთელების წარმატება ამ ტურნირში უთუოდ ყურადსაღებია. ნაკრების წევრთა უმეტესობა თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში გამოდის და უფროსი ასაკის მეტოქეებთან თამაშობს. ამაზე გუნდის ხელმძღვანელობა (მწვრთნელები საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი) შეგნებულად მიდის და, როგორც ჩანს, არც თუ უსაფუძვლოდ. ყოველ შემთხვევაში 2-3 წლით უფრო მოზრდილებთან თამაშმა ჩვენს კალათბურთელებს დიდი სარგებლობა მოუტანა.

ანალოგიური პირველობა, ოღონდ საშუალო ასაკის (1972-1973 წწ. დაბადებულნი) კალათბურთელთა შორის გომელში გაიმართა. აქ ფინალის ორი საგზურისთვის უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, ესტონეთის, ბელორუსიის, ლენინგრადისა და საქართველოს კოლექტივები იბრძოდნენ. ჩვენმა სპორტსმენებმა (მწვრთნელები ვაჟა ჰკუასელი და ავთანდილ ჩხიკვაძე) ამჯერადაც წარმატებით იასპარეზეს, მეორე ადგილი დაიკავეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. გუნდმა ოთხი შეხვედრა მოიგო (ბელორუსიასთან — 78:62, ლენინგრადთან— 92:32, უკრაინასთან — 78:64, ესტონეთთან — 80:49) და მხოლოდ ერთი დათმო რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან — 72:81.

აქ საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთის ფედერაცია, 2. საქართველო, 3. უკრაინა, 4. ბელორუსია, 5. ესტონეთი, 6. ლენინგრადი.

გომელში ამ ასაკის გოგონებიც ასპარეზობდნენ. ბელორუსიის, მოსკოვისა და საქართველოს გუნდებმა ტურნირი ერთნაირი შედეგით დაამთავრეს, მაგრამ ფინალში თამაშის უფლება ჩვენმა მეტოქეებმა მოიპოვეს — მათ უკეთ ჩააბარეს სანორმატივო მოთხოვნები. და მაინც საქართველოს გოგონათა ნაკრებმა (მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი) სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ამ კოლექტივს კარგი პერსპექტივა აქვს.

## მოკლედ

**ტყიბულში** დამთავრდა მეთორმეტე საქალაქო ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 10 სახეობა შედიოდა.

სპარტაკიადის ჩემპიონი, ზედიზედ მერვედ, ინდუსტრიული ტექნიკუმის კოლექტივი გახდა. II და III ადგილებზე შესაბამისად 136-ე, მე-19 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების გუნდები გავიდნენ. კარგი შედეგებით დაამთავრეს სპარტაკიადა ლენინის, მინდელისა და სტალინის სახელობის შახტებმა.

ალსანიშნავია, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში მცირე რაოდენობით გამოვიდნენ ნაკრები გუნდები. მაგალითად, ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობაში სულ ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ექვს-ექვსი გუნდი გამოიყვანეს ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში და თავისუფალ ჭიდაობაში. დაბალი შედეგები აჩვენეს მძლეოსნებმა.

**ელბერდ ბაქრაძე,**
**„ლელოს“ კორ.**
ტყიბული.

# პირველი ჩემპიონები

**დასასრული**

გუნდის დანარჩენი წევრების შესაძლებლობებიც, მაგრამ... შეჯიბრების პირველ ორ დღეს ცხრა ქართველმა მოჭიდავემ სცადა ძალა, ფინალისკენ კი გზა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონმა გურამ გედეხაურმა და ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონმა თენგიზ თედორაძემ გააგრძელეს.

იმ შვიდეულიდან რამდენიმეს ურიგოდ არ უჭიდავია, მაგრამ, რა დასამალია, ისინი ჯერ იმ კლასის სპორტსმენები არ არიან, რომ მათი ფინალში გაუსვლელობა გამაოგნებელ მარცხად მივიჩნიოთ. ზოგს გამოცდილება არ ეყო, ზოგს — ცოტა ბედმაც უმტყუნა, ზოგს კი მეტოქე ჰყავდა ძალიან ძლიერი. ისინი, ძირითადად, ძალზე ახალგაზრდები არიან და ეს ჩემპიონატიც მათთვის ალბათ კარგი სკოლა იქნება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თბილისში 28 წელიწადია არ ჩატარებულა საკავშირო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. ახლა კი მათ შესახებ ვისაუბროთ წონითი კატეგორიების მიხედვით.

**62 კგ.** როგორც იცით, ამ წონაში ჩვენი გუნდიდან გამოდიოდა ვასილ ონიანი, რომელმაც შეჯიბრების პირველი დღე „ორი" მოგებითა და ერთი წაგებით დაამთავრა. სამწუხაროდ, 21 იანვარს ონიანი სარანსკელ გენადი ატმაკინთან ქულებით დამარცხდა და იგი საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდა.

**74 კგ.** გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა ბათუმელმა ჯემალ ბაკურიძემ, რომელმაც არტურ კატანჯიანს (უკრაინა) სძლია — 6:0, მაგრამ მეორე წრეში ასეთივე ანგარიშით დამარცხდა კატანჯიანის თანაგუნდელ ალექსანდრე კონდაცკისთან. ჩვენი ფალავნისათვის საბედისწერო გამოდგა მომდევნო ორთაბრძოლა შამილ მაგომედოვთან (როსტოვი), რომელიც მან მინიმალური ანგარიშით (7:8) დათმო. ერთი გამარჯვების შემდეგ მისი ბედი გაიზიარა თბილისელმა კობა ოჩიგავამ ჯერ ანდრეი გრიბოედოვთან (ვილნიუსი), შემდეგ კი შამილ მაგომედოვთან დამარცხების შემდეგ. მეორე მარცხი მართლაც დასანანი გახლდათ — 2:3. ოჩიგავა მე-7 ადგილზე გავიდა, ბაკურიძე — მეთერთმეტეზე.

**90 კგ.** მეოთხე წრეში ძირითადი აღმოჩნდა ქართველი ფალავნების, ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის — თენგიზ თედორაძისა და ზაურ ივანაშვილის შეხვედრა. დიახ, კენჭისყრამ ისინი ნაადრევად დაუპირისპირა ერთმანეთს. თედორაძე უფრო აქტიურობდა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 6:1. ივანაშვილისთვის, როგორც იცით, ეს უკვე მეორე წაგება იყო და სპორტსმენმა მაყურებელთა შორის გადაინაცვლა. ძალზე სამწუხაროა, რომ მსოფლიო თასის მფლობელი, რომელსაც, უნდა ითქვას, თითქმის უნიკალური რეკორდიც აქვს დამყარებული — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის, ასე მალე გამოეთიშა ბრძოლას. მას საბოლოოდ მე-8 ადგილი ხვდა წილად.

თედორაძემ კი, რომელიც ფინალურ ჯგუფში მოხვდა, მე-5 წრეში თავისი ყველაზე ძნელი ბრძოლა ჩაატარა უკრაინელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვიაჩესლავ ოლეინიკთან, რომელიც კარგა ხანს იყო წინ. მაგრამ ჩვენმა ახალგაზრდა მოჭიდავემ ყველაფერი იღონა მდგომარეობის გამოსასწორებლად და ჯილდოდ დამსახურებული გამარჯვება მიიღო.

ნებისყოფამ გაიმარჯვაო, სამართლიანად შენიშნა ერთ-ერთმა სპეციალისტმა. ეს იყო თენგიზ თედორაძის ზედიზედ მეხუთე წარმატება. იმავე ჯგუფში ანალოგიურ წარმატებას მიაღწია ულიანოვსკელმა პაველ პოტაპოვმა. გადამწყვეტი ფინალის საგზურის ბედი სწორედ მათს ორთაბრძოლას უნდა გაერკვია. მეორე ქვეჯგუფში ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა მსოფლიო ჩემპიონი, ომსკელი ვლადიმერ პოპოვი...

**100 კგ.** გურამ გედეხაურის გამოსვლას მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ. მსოფლიო ჩემპიონსაც არ გაუწბილებია გულშემატკივრები. პირველ შეხვედრაში მის მეტოქეს ვიაჩესლავ გრიბოვსკის (კიშინიოვი) მსაჯებმა მაშინ მისცეს მესამე გაფრთხილება, როდესაც ჩვენს ფალავანს წმინდა გამარჯვებას 1 ქულა აშორებდა, წინ იყო 14 ქულით — 14:0. მეორე წრეში გედეხაურმა თანაგუნდელ ზაქრო ჩიკვილაძეს სძლია, მესამე წრეში კი ისვენებდა. ჩიკვილაძისთვის ეს წაგება რიგით მეორე იყო (მანამდე თანაბარ ბრძოლაში ერთი ქულის სხვაობით დამარცხდა მოსკოველ ტიმურ აიგინინთან) და ისიც გამოაკლდა მონაწილეთა რიგებს და მეთვრამეტე ადგილი დაიკავა.

ამავე წონაში პირველი წრის შეხვედრა კარგად ჩაატარა უშანგი თევდორაძემ, რომელმაც უკრაინელი ანდრეი დავიდოვი დაამარცხა ანგარიშით 12:5, მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლები წააგო და ასპარეზობას გამოეთიშა (მე-11 ადგილი).

100 კგ. წონით კატეგორიაში მეტად საინტერესო იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის იგორ კანიგინისა და ერთ-ერთი ფავორიტის ანატოლი თედორენკოს შერკინება. 31 წლის ტიტულიანმა სპორტსმენმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია 7 წლით ახალგაზრდა, ძლიერ მეტოქეს და დამარცხდა — 3:9.

გუშინ, შეჯიბრების მე-3 დღეს ბრძოლაში ჩაებნენ 57, 68, 82 და 130 კგ წონითი კატეგორიების მოჭიდავეები, თუმცა ჩვენს მაყურებლებს წინამდებარე შეხვედრების გაგრძელება უფრო აინტერესებდათ: თენგიზ თედორაძესა და გურამ გედეხაურს გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაედგათ ფინალისაკენ.

თედორაძე ულიანოვსკელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს პაველ პოტაპოვს ხვდებოდა. მეტოქეთა ბალანსი ასეთი იყო: ჩვენს ფალავანს უკვე ხუთი ბრძოლა ჰქონდა მოგებული, ხოლო პოტაპოვს, ქვეყნის 1986 წლის ჩემპიონს, რომელსაც წილისყრამ მეტი იღბალი არგუნა, მხოლოდ ოთხი შეხვედრის ჩატარება მოუწია.



პოტაპოვისა და ოლეინიკის შეხვედრის მომენტი.

20 წლის თედორაძემ ვერაფერი მოუხერხა უფრო გამოცდილ, ფიზიკურად მეტად ძლიერ მეტოქეს და ქულებით დამარცხდა — 1:6. პოტაპოვი ფინალში გავიდა, მეორე ჯგუფიდან ყველა შეხვედრა მოიგო და ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა ომსკელმა ვლადიმერ პოპოვმა. თედორაძე კი მესამე ადგილისათვის მინსკელ სერგეი დემიაშკევიჩს უნდა შეხვედროდა.

გუშინ გურამ გედეხაურმა (100 კგ) კიდევ ორი ბრძოლა მოიგო. მსოფლიოს ჩემპიონის წარმატებები, რა თქმა უნდა არავის გაკვირვებია, მეტოქეები აშკარად გაურბოდნენ მასთან ბრძოლას. მსაჯებმა ჯერ სერგეი ვოროპაევი (ტიუმენი) და შემდეგ მინსკელი ოლეგ ბოცულო სამი გაფრთხილების გამო შეხვედრიდან მოხსნეს. თუმცა ორივე შემთხვევაში ქულათა შეფარდებაც ჩვენი ფალავნის სასარგებლოდ მეტყველებდა. სხვებზე მეტი წინააღმდეგობა მას ისევ ბოცულომ გაუწია. ფინალში გასასვლელად გედეხაური მინსკელ ვლადიმერ ბოგუცკის ხვდება, რომელიც წმინდად დამარცხდა თანაგუნდელ ბოცულოსთან.

მეორე ჯგუფიდან ფინალში უკვე გავიდა მინსკელი ანატოლი ფედორენკო, რომელსაც ერთმა დამარცხებამ ხელი ვერ შეუშალა ებრძოლა ოქროს მედლისათვის. გედეხაურის სავარაუდო მეტოქე 24 წლისაა და ევროპის 1985 წლის ჩემპიონი გახლავთ.

**82 კგ** წონით კატეგორიაში ბათუმელმა ბეგი დარჩიამ, რომელიც სულ ბოლო მომენტში დაუშვეს ჩემპიონატში, პირველი გამარჯვება იზეიმა, მისი მეტოქე მინსკელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალექსანდრე კოზლოვსკი პასიურობდა და 3 გაფრთხილება მიიღო. სწორედ ანალოგიურ სიტუაციაში გაიმარჯვა თბილისელმა ზაურ ცხადაძემ (130 კგ), რომელიც დუშანბელ ვიტალი მარკევიჩს ეჭიდავა. სამწუხაროდ, ამავე წონაში პირველი შეხვედრა წააგო თბილისელმა ვასილ ქარსელაძემ (ჩელიაბინსკელ ვლადიმირ გრიგორიევთან).

გაირკვა ფინალისტთა ვინაობა 48 და 62 კგ წონით კატეგორიებში. პირველდასახელებულ წონაში ერთმანეთს ხვდებიან ომსკელი სერგეი სუვოროვი და მოსკოველი ვიქტორ სავჩუკი. 62 კგ წონაში ოქროს მედლისთვის იბრძოლებენ ლენინაკანელი არუთიკ რუბენიანი და სარანსკელი გენადი ატმაკინი.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

## გუშინ...

**საღამოს ფინალური შეხვედრების წინ წინასწარი ორთაბრძოლებიც გაიმართა. მე-2 წრეში შესანიშნავად იჭიდავა ბეგი დარჩიამ (82 კგ). მან ზედიზედ რამდენიმე ქულა აართვა მეტოქეს, ტირასპოლელ კარლ კოჟუხარს და მე-40 წამზე (!) ბრწყინვალე ილეთით წმინდად დაამარცხა. ორი ქართველი მოჭიდავის ზაურ ცხადაძისა და ვასილ ქარსელაძის (130 კგ) შერკინება ქარსელაძემ მოიგო.**

**შემდეგ კი გამოვლინდნენ საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატის პირველი მედლების მფლობელები.**

**48 კგ წონით კატეგორიაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა ომსკელი სერგეი სუვოროვი, რომელმაც მოსკოველი ვიქტორ სავჩუკი დაამარცხა. მესამე ადგილი დაიკავა ოლეგ კუჩერენკომ (ვოროშილოვგრადი).**

**52 კგ წონაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლენინაკანელი არუთიკ რუბენიანი, მან ფინალში აჯობა სარანსკელ გენადი ატმაკინს. მესამე ადგილი წილად ხვდა ვალერი პერმინოვს (მოსკოვი).**

**90 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვება მეტოქის გამოუცხადებლობის გამო მიეკუთვნა ომსკელ ვლადიმირ პოპოვს. მეორე ადგილი დაიკავა ულიანოვსკელმა პაველ პოტაპოვმა, მესამე — მინსკელმა სერგეი დემიაშკევიჩმა. თენგიზ თედორაძემ, რომელიც, ამ უკანასკნელთან დამარცხდა (2:3), IV ადგილი დაიკავა.**



სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# თბილისის „დინამო" — დაუმარცხებლად

**გაიმართა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**ხარკოვი.** 20 იანვარს თბილისის დინამოელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ტურის მასპინძელთან — ხარკოვის „ლოკომოტივთან" 6:6 (2:2, 1:1, 1:1, 2:2), მეორე დღეს კი ლვოვის თანაკლუბელები დაამარცხეს 8:7 (2:0, 3:2, 1:3, 2:2).

სხვა შეხვედრები ამ ჯგუფში ასე დამთავრდა: „დინამო" (ლვოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 10:10 (1:2, 2:3, 3:5, 4:0), „მოსკვიჩი" — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 2:5 (1:2, 0:0, 1:1, 0:2), „დინამო" (მოსკოვი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 9:6 (4:2, 1:0, 4:1, 0:3), „მოსკვიჩი" — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 7:5 (2:0, 2:1, 2:2, 1:2).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ". (მოსკ.) | 3 | 2 | 1 | 0 | 28-23 | 5 |
| „დინ." (თბ.) | 3 | 1 | 2 | 0 | 21-20 | 4 |
| უნივ. (მოსკ.) | 3 | 1 | 1 | 1 | 18-18 | 3 |
| „დინ". (ლვოვი) | 3 | 0 | 2 | 1 | 25-26 | 2 |
| „მოსკვიჩი" | 3 | 1 | 0 | 2 | 16-19 | 2 |
| „ლოკ." (ხარკ.) | 3 | 0 | 2 | 1 | 19-21 | 2 |

**ალმა-ათა.** ამ ჯგუფში დაუმარცხებლად იბრძვის ადგილობრივი „დინამო". ალმაათელებმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს. ბოლო ორ ტურში მათ ჯერ შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის (სევასტოპოლი) სპორტსმენები დაამარცხეს 10:7 (3:2, 3:1, 2:1, 2:3), მერე კი ბაქოს წყალბურთელებსაც აჯობეს — 12:7 (3:2, 1:1, 4:0, 4:4). სამი შეხვედრა მოიგო ზედიზედ ცსკ ვმფ-მაც.

აი, ეს შედეგებიც: „დინამო" (კიევი) — ასკ (მინსკი) 10:8 (3:2, 1:3, 3:2, 3:1), ცსკ ვმფ — კკფ (ბაქო) 11:8 (1:2, 2:2, 3:1, 5:3), ცსკ ვმფ — ასკ (მინსკი) 10:9 (1:2, 1:1, 2:3, 6:3), „დინამო" (კიევი) — კჩფ (სევასტოპოლი) 10:7 (2:1, 3:4, 3:1, 2:1).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ". (ა-ათა) | 3 | 3 | 0 | 0 | 35-20 | 6 |
| ცსკ ვმფ | 3 | 3 | 0 | 0 | 29-24 | 6 |
| „დინ." (კიევი) | 3 | 2 | 0 | 1 | 27-28 | 4 |
| კჩფ (სევასტ.) | 3 | 0 | 1 | 2 | 24-30 | 1 |
| კკფ (ბაქო) | 3 | 0 | 1 | 2 | 25-38 | 1 |
| ასკ (მინსკი) | 3 | 0 | 0 | 3 | 23-38 | 0 |

# დღეს თბილისსა და დონეცკში

**უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრდა. დღეს ორ ჯგუფად დაყოფილი ფინალური ტურნირის მონაწილენი თბილისსა და დონეცკში მეორე ეტაპის მატჩებს დაიწყებენ.**

თბილისში სააპარეზოდ ჩამოვიდნენ: ცსკა, რიგის ვეფი და მოსკოვის „დინამო". მათ დაემატებათ ადგილობრივი „დინამო" და ეს ოთხი კოლექტივი თითოჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. ჩვენს დედაქალაქში, როგორც იცით კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი მიმდინარეობს, ამიტომ პირველი სამი მატჩი კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე ჩატარდება, სამი მომდევნო შეხვედრა კი სპორტის სასახლეში.

ამ შეხვედრათა კალენდარი ასეთია:

**23 იანვარი.** კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. 18 ს. ცსკა — „დინამო" (მოსკოვი), 20 ს. „დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა).



**24 იანვარი.** კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. 16 ს. „დინამო" (მოსკოვი) — ვეფ (რიგა); სპორტის სასახლე. 20 ს. 30 წთ. „დინამო" (თბილისი) — ცსკა.

**25 იანვარი.** სპორტის სასახლე. 18 ს. ცსკა — ვეფ (რიგა); 20 ს. „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი).

ოთხი სხვა გუნდი — „ჟალგირისი" (კაუნასი), „სტროიტელი" (კიევი), რტი (მინსკი) და „შახტიორი" (დონეცკი) ამავე რიცხვებში დონეცკში იასპარეზებენ. მერე რვა გუნდი კაუნასში შეიკრიბება, სადაც 7-11 თებერვალს დანარჩენ მატჩებს გამართავენ.

# კარპოვი დაეწია ლიდერს

**ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.**

ანატოლი კარპოვმა X ტურში დაამარცხა იუგოსლავიელი დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოევიჩი და დაეწია შეჯიბრების ლიდერს შვედ ულფ ანდერსონს, რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დასავლეთგერმანელ რობერტ ჰიუბნერთან.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ ულფ ანდერსონი და ანატოლი კარპოვი, 5,5-5,5 ქულა აქვთ უნგრელ ფარაგოს და ბულგარელ გეორგიევს.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „სწრაფი ბურთი"

**პასუხი სამტრედიიდან**

**თქვენი გაზეთის 1987 წლის პირველი დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „სწრაფი ბურთი".**

**სამტრედიის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის მწვრთნელის ვ. ხელისუფალის შესახებ 1987 წლის 28 დეკემბერს იმსჯელა ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ. საკითხის დაგვიანებით განხილვა განაპირობა ვ. ხელისუფალის ჯანმრთელობის მდგომარეობამ, რომელიც ჭაბუკ ხელბურთელთა პირველობაზე გამგზავრების წინ მოულოდნელად გახდა ავად, მაგრამ ამის შესახებ სკოლის ხელმძღვანელობას არ შეატყობინა, რათა დროულად შეეცვალათ იგი.**

**როცა ვ. ხელისუფალის ავადმყოფობის ფაქტი სკოლის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი გახდა, გუნდის გაგზავნა უკვე დაგვიანებული იყო, ვ. ხელისუფალის დაუფიქრებელი მოქმედების შედეგად რესპუბლიკური გაზეთის ფურცლებზე რაიონი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული.**

**პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დაგმეს ვ. ხელისუფალის ინერტულობა, უპასუხისმგებლობა შინდობილი საქმისადმი და იგი მკაცრად გააფრთხილეს.**

**გ. ფოცხვერაშვილი,**
**რაიაღმასკომის თავმჯდომარე.**

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი

# ირინა ლევიტინა

დასასრული

როგორც პრეტენდენტთა ასპარეზობის ფინალისტი, გაათავისუფლეს საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობისაგან. მან ბრძოლა პირდაპირ პრეტენდენტთა შეჯიბრებიდან დაიწყო, რომელშიც 1977 წელს დამარცხდა ალა კუშნირთან — 3:6.

ყველაზე დიდ წარმატებას ლევიტინამ 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია. 1983 წელს მან პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ნონა გაფრინდაშვილს მოუგო (6:4), ნახევარფინალში ადრინდელი დამარცხების რევანში აიღო ნანა ალექსანდრიასთან (7,5:6,5), პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ლიდია სემიონოვას სძლია (7:5) და მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრის უფლება მოიპოვა. ეს იყო ლევიტინას უმაღლესი მიღწევა მთელი მისი კარიერის მანძილზე.

1984 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვოლგოგრადში ლევიტინამ თავიდან მეტად შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიო ჩემპიონს. იგი წინ იყო სამი და, წარმოიდგინეთ, რვა პარტიის შემდეგაც. მაგრამ, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია — მეცხრე პარტიიდან მოყოლებული, სრული უპირატესობა მოიპოვა ჩიბურდანიძემ, ბოლო 5 პარტიაში 4,5 ქულა მოაგროვა და მოიგო კიდეც მატჩი (8,5:5,5). დამარცხების მიუხედავად, ლევიტინას თამაშმა როგორც შემოქმედებითი, ისე სპორტული თვალსაზრისით, ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მას პრეტენდენტთა მომავალ, 1986 წლის ასპარეზობაში პერსონალურად თამაშის უფლება მიენიჭა.

1985 წლის დასაწყისში ლევიტინამ I-II ადგილები გაიყო იოსელიანთან იაიცეში და წლის განმავლობაში კიდევ რამდენიმე ტურნირში ითამაშა ცვალებადი წარმატებით.

1986 წლის თებერვალში მალმეში (შვეცია) პრეტენდენტები უკვე შეცვლილი სისტემით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ადრინდელი მატჩების ნაცვლად ორწრიანი ტურნირი დაინიშნა. აქ ლევიტინამ მოულოდნელად მძიმე მარცხი იგემა — ალბათ, ყველაზე უფრო დიდი მარცხი მთელი მისი სპორტული გამოსვლების მანძილზე. იმის მიუხედავად, რომ რეიტინგით იგი მხოლოდ პია კრამლინგს ჩამოუვარდებოდა, ლევიტინამ 8 პრეტენდენტს შორის მხოლოდ VII ადგილი დაიკავა, 14 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა, ორივე პარტია წააგო ტურნირში გამარჯვებულ ახმილოვსკაიასთან და „მინი-მატჩებშიც" დამარცხდა კრამლინგთან და სემიონოვასთან. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ იგი მძიმე სპორტულ და შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა. მის დასაძლევად დრო იყო საჭირო.

1987 წელი ლევიტინასთვის კარგად დაიწყო — მან პირველი ადგილი დაიკავა იაიცეს საერთაშორისო ტურნირში. ზაფხულში სმედერევსკა-პალანკას საზონათშორისო ტურნირში იგი დიდხანს ჩრდილში იყო, მაგრამ ბოლოს მოჭადრაკის კლასმა მაინც თავისი ქნა და ლენინგრადელ დიდოსტატს დამატებით შეჯიბრებაში ბრძოლის გაგრძელების საშუალება მიეცა. როგორც მოგეხსენებათ, შარშან სექტემბერში ლევიტინა თბილისში ურიგოდ არ გამოიყურებოდა და ნონა გაფრინდაშვილთან ერთად პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლებაც მოიპოვა. თბილისიდან იგი სოჭში გაემგზავრა და ტრადიციულ ფესტივალში ითამაშა.

ლევიტინას ოდესღაც განთქმული თეორეტიკოსი, დიდოსტატი სემიონ ფურმანი ამეცადინებდა. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მას თეორიის შესანიშნავმა მცოდნემ, ორიგინალური სქემების ავტორმა, ოსტატმა პავლე კონდრატიევმა. მისი გარდაცვალების შემდეგ ირინას სხვადასხვა ლენინგრადელი ოსტატები ეხმარებოდნენ.

ლევიტინა ენერგიული, შემტევი სტილის მოჭადრაკეა, კარგად ატარებს იერიშს, ჩინებულად ერკვევა კომბინაციურ გართულებებში. ამავე დროს, მას ღრმა „პოზიციური გრძნობა" აქვს, კარგად ირჩევს თამაშის გეგმას. წლების განმავლობაში საუკეთესო სპეციალისტებთან თანამშრომლობით ლენინგრადელმა საინტერესო სადებიუტო რეპერტუარი შექმნა. მისი მეტოქე დასაწყისშივე რაიმე სიურპრიზს უნდა ელოდეს. ლევიტინას ენდშპილში დახვეწილი ტექნიკა აქვს და ზუსტად იყენებს უპირატესობას.

როგორ ითამაშებს ლევიტინა წყალტუბოში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა ძალიან ძნელია. მისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სათამაშო განწყობილებას. თუკი მას დასაწყისშივე „გამოუვიდა" თამაში, შეიძლება ითქვას, პირველი ადგილის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი იქნება. ამავე დროს, ცნობილია ისიც, რომ იგი მძიმედ განიცდის მარცხს და წაგების შემდეგ როგორღაც უფერულად მოქმედებს, როგორც ეს მალმიოში მოხდა.

ლევიტინას რეიტინგია 2355.

## ემზადებიან რესპუბლიკური უნივერსიადისათვის

**აპრილში** დაიწყება რესპუბლიკური უნივერსიადა, რომელიც წელს ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ღონისძიება იქნება. უნივერსიადისათვის მზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, გაიმართა მორიგი სხდომა, რომელზედაც ესწრებოდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, პროფკავშირების სპორტული საზოგადოების, რექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები. განიხილეს უნივერსიადისათვის მზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარების ორგანიზაციული საკითხები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილემ, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მაქაცარიამ.

## „მოვიცადოთ მაისამდე..."

ამ დღეებში მონტე-კარლოში შედგა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სხდომა, სადაც უნდა განეხილათ ინგლისის გუნდების ევროპულ საკლუბო გათამაშებებში დაბრუნების საკითხი.

სხდომის შემდეგ უეფა-ს პრეზიდენტი ჟაკ ჟორჟი განცხადებით გამოვიდა ჟურნალისტთა წინაშე.

— საკითხის გადაწყვეტისას ერთობლივი აზრი ვერ გამოვიმუშავეთ, ამიტომაც გადავწყვიტეთ ცოტა ხანს კიდევ მოვიცადოთ, კერძოდ, მაისამდე. მანამდე ლონდონის „უემბლის" სტადიონზე შედგება ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ვნახოთ, როგორ მოიქცევიან ინგლისელი გულშემატკივრები, ეს მატჩი მათთვის თავისებური გამოცდა იქნება. თუ „უემბლის" ტრიბუნებზე წესრიგი იქნა, შესაძლოა უკვე წლევანდელ შემოდგომით ვიხილოთ ინგლისის გუნდები ევროპულ ტურნირებში. ივნისში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატის მატჩები, ესეც სერიოზული გამოცდაა ინგლისელი მაყურებლებისთვის. და თუ მაისში ამ ქვეყნის კლუბები ევროპულ ტურნირებზე დავუშვით, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უფლებას ვიტოვებთ ხელახლა გადავხედოთ ჩვენს გადაწყვეტილებას და შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად გავაუქმოთ ან ძალაში დავტოვოთ იგი.

## „ოქროს ბუცი", „ვერცხლის ბუცი", „ბრინჯაოს ბუცი"

საფრანგეთის ჟურნალ „ფრანს ფუტბოლს" დასავლეთგერმანულ ფირმა „ადიდასთან" ერთად დაწესებული აქვს საგანგებო პრიზები ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირებისთვის.

ახლახან მონტე-კარლოში მოხდა შარშანდელი საფეხბურთო სეზონის საუკეთესო ბომბარდირთა დაჯილდოება. „ოქროს ბუცი" წილად ხვდა რუმინელ ფეხბურთელს როდიონ კემეტარუს, რომელმაც რუმინეთის პირველობაზე ბუქარესტის „დინამოს" შემადგენლობაში 44 ბურთი გაიტანა.

„ვერცხლის ბუცი" გადაეცა ვენის „აუსტრიის" თავდამსხმელს ანტონ პოლსტერს — 39 ბურთი, ხოლო „ბრინჯაოს ბუცი" — ბულგარელ ნასკო სირაკოვს („ვიტოშა"), რომლის ანგარიშზეა 36 გატანილი გოლი.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**მელბურნი.** ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. მთავარი პრიზისათვის მებრძოლნი ასე დაწყვილდნენ: სტეფან ედბერგი — მატს ვილანდერი (ორივე — შვეცია) და ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — პატ კეში (ავსტრალია). ქალთა ტურნირის ფინალში გავიდნენ შტეფი გრაფი (გფრ) და კრის ევერტი (აშშ). პირველმა ნახევარფინალში თანამემამულე კლაუდია კოდე-კილში დაამარცხა 6:2, 6:3, მეორემ მარტინა ნავრატილოვას (აშშ) აჯობა — 6:2, 7:5.

**სტოკჰოლმი.** მიმდინარე სეზონის მძლეოსანთა პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს სიმაღლეზე მხტომელმა ვაჟებმა. პირველი ადგილი გაიყვეს მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა შვედმა პატრიკ შებერგმა და გფრ-ის წარმომადგენელმა კარლო ტრენჰარტმა. ორივე სპორტსმენმა 230 სმ დაძლია. ასეთივე შედეგი ჰქონდა გფრ-ს მეორე მძლეოსანს დიტმარ მეგენბურგს, მაგრამ სიმაღლე მან მხოლოდ მეორე ცდაში დასძლია. მეოთხე ადგილი ამერიკელ ჯერომ კარტერს ხვდა — 224 სმ.

**ბაზელი.** მოეწყო ხელბურთელ ქალთა ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა. კიევის „სპარტაკი" ჩემპიონთა თასზე გდრ-ის „ფორვერტსს" შეხვდება, თასების თასზე კრასნოდარის „ყუბანის" მეტოქე იტალიის „კასანი" იქნება.

**ბრაიტონი.** ინგლისის მაგიდის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ანგარიშით 3:2 დამარცხა საფრანგეთის გუნდი, მერე კი თავად დამარცხდა გფრ-ის ნაკრებთან — 1:3.

**ბრატისლავა.** ფრენბურთელ ქალთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში მინსკის „კომუნალნიკმა" ადგილობრივი „სლავია" დაამარცხა — 3:0.

## დაწინაურდა იამზე თვაური

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დედაქალაქის ქალთა 46-ე ჩემპიონატი ჭადრაკში.**

ტურნირი ახალგაზრდულია — მისი ყველაზე უმცროსი მონაწილე მირანდა ხორავა 10 წლისაა. ჩვენი მოჭადრაკე გოგონები საკმაოდ დამაჯერებლად, სერიოზულად თამაშობენ.

7 ტურის შემდეგ 6,5 ქულით დაწინაურდა 181-ე სკოლის XI კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი იამზე თვაური.

5,5 ქულა აქვს ლია სადუნიშვილს. 5-5 ქულით მას „კვალში მიჰყვებიან" ინგა ხურცილავა, ნათია წკეპლაძე, ნინო გელავა და თამარ მახარაძე.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

**თამარ ხუგაშვილი,**
**ტურნირის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი.**

**ს უ რ ა თ ზ ე: მიმდინარეობს თბილისის 46-ე ჩემპიონატის მორიგი ტური. წინა პლანზე არიან ლია სადუნიშვილი (მარცხნივ) და ნინო გელავა.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



## კ.-ჰ. ფიორსტერი თავს ანებებს ნაკრებს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები დატოვა ცნობილმა მცველმა კარლ-ჰაინც ფიორსტერმა. ამის შესახებ მან ოფიციალური განცხადებაც გააკეთა, მიმომხილველები ახლა ვრცელ კომენტარს უკეთებენ ცნობილი ფეხბურთელის ამ გადაწყვეტილებას (კ.-ჰ. ფიორსტერი 29 წლისაა, მან 81-ჯერ ითამაშა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში).

თვით ფეხბურთელმა თავისი საქციელი ასე ახსნა:

— ევროპის ჩემპიონატის ფინალის წინ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის იოლი არ იყო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ბოლო ხანებში ძალზე გამიუარესდა ფიზიკური მომზადება, მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს დაძაბუნებული გამოვიდე მაყურებელთა წინაშე და ვინმემ მისტვინოს ტრიბუნიდან.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მესამე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 17 იანვარს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 1.778.479 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (34 ბარათი) მოგება 2095 მანეთია, ოთხისთვის (1535) — 52, სამისთვის (28.924) — 4.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 17.481.898 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ბარათი) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.780) — 174, სამისთვის (173.366) — 9.

მესამე ტირაჟების მოგებათა განაღდება — 1 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი"

**მეორე ტირაჟის შედეგები**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის" მეორე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 9-11 იანვარს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.714.381 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (19) მოგებამ შეადგინა 3.721 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.116) — 126 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (17.172) — 28 მანეთი.

მეორე ტირაჟის მოგებათა გაცემა იწარმოებს 1988 წლის 5 თებერვლიდან 5 მარტამდე.

## ბულგარეთში მიიწვიეს

**ქალაქ** ივანოვოში ჩატარდა ტრადიციული ღია საკავშირო ტურნირი ჭიდაობა სამბოში მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპორტული სკოლის გუნდმა.

ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონით კატეგორიაში ქუთაისელმა გიორგი ხურციძემ (35-ე საშუალო სკოლა) ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხა ბულგარეთის ნაკრების ლიდერი თ. ათანასოვი, რომელმაც ორიოდე თვის წინ ტოკიოს დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

კარგად იასპარეზა ა. კიკნაველიძემაც, რომელმაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავეს თ. ობოლაძემ (32-ე სკოლა), კ. ბაკურაძემ (მე-2 სკოლა) და დ. ნიქაბაძემ (27-ე სკოლა).

ქუთაისელთა გუნდმა, რომელიც ამ შეჯიბრებისთვის გ. სარდანაძემ და ტ. ფარჯანაძემ მოამზადეს, ბულგარელი სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა და იგი სოფიის დიდ საერთაშორისო ტურნირზე მიიწვიეს, რომელიც 1988 წლის 9 მაისს გაიმართება.

**თამაზ კოლხიდელი,**
**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 28 იანვარი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში (გადაცემა თბილისიდან) — **20.30 (2);** ევროპის ჩემპიონატი ვაჟთა ციგურაობაში (გადაცემა ჰოლანდიიდან) — **21.35 (2)** და **0.20 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 28 იანვარი.** სპორტული პროგრამა — **19.25.**

რედაქტორი **თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 95148